პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 108 (7687)
3 ივნისი
კვირა,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲣᲠ ᲛᲐᲜᲔᲟᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ. ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲐᲛ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ „ᲨᲐᲚᲐᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲔᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲰᲧᲝᲚᲘᲐᲗ“ ᲘᲮ. ᲛᲔ-2 ᲒᲕ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲓᲠ-ᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲪ, ᲛᲔᲝᲠᲔᲪ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲪ...

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ერთი სურათი გვაქვს, ასე ხუთი-ექვსი წლის წინ გადაღებული: ტანვარჯიშულ ფორმაში გამოწყობილი ლადო გოგოლაძე და მისი თანატოლები ამაყად გამწკრივებულან ფოტოობიექტივის წინ. ყველაზე ტანმორჩილი ლადო ამხანაგებს სულ ბოლოში დაუყენებიათ. მასაც ეშმაკობა უხმარია და ფეხის ცერებზე აწეულა, რათა თანაგუნდელებს „დასწეოდა“ სიმაღლეში...

სწორედ ეს ფოტოსურათი გაგვახსენდა, როცა სპორტის სასახლის სარბიელზე ჩვენი ტანმოვარჯიშეების დღევანდელი ლიდერი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვლადიმერ გოგოლაძე მოასპარეზეთ შემოუძღვა.

ჩვენს გვერდით საქართველოს ვაჟთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ჰანს ბურჯანაძე იჯდა. როცა ამ სურათის შესახებ ვუამბეთ, გაეცინა, მერე კი თვითონ დასძინა:

— სამაგიეროდ ახლა უკვე ლადო ბევრად მაღლა დგას თანაგუნდელებზეც და სტუმრებზეც როგორც ფიზიკური მონაცემებით, ისე სპორტული კლასით. დამიჯერეთ, ამ ტურნირს იოლად მოიგებს. ასე რომ; მის მწვრთნელს ნოლიკო კვეტენაძეს შეუძლია სრულიად დამშვიდებულმა უყუროს შეჯიბრებას.

ასეც მოხდა. პირველსავე გამოსვლაში (თავისუფალი ვარჯიში) გოგოლაძემ ლამაზი კომბინაცია გააკეთა, თანამედროვე რთული ილეთებით მოხიბლა სპეციალისტები (მათ შორის, ცხადია, მსაჯებიც) და ყველაზე მაღალი შეფასება — 9,75 მიიღო. ამ წარმატებით მან თავიდანვე გაახარა და დააიმედა გულშემატკივრები. აკი ამბობდა „ლელოს“ ფურცლებზე ამ ხუთიოდე დღის წინ გამოქვეყნებულ ინტერვიუში, ჩვენს ქალაქში მართლაც ძალიან მინდა ყველას ვაჯობოო...

მართალია, მეორე იარაღზე (ტაიჭი) ლადომ მცირე შეცდომა დაუშვა, მაგრამ ესოდენ დიდი ასპარეზობისთვის მაინც მაღალი შეფასება დაიმსახურა — 9,55. სამი სახეობის შემდეგ (ეს ვაჟთა შეჯიბრების დისტანციის ნახევარია) გოგოლაძეს 28,9 ქულა ჰქონდა. იგი შესაბამისად 0,25 და 0,45 ქულით უსწრებდა უახლოეს მდევრებს გენადი რიბინსა და ვლადიმერ ლიუკინს.

— ცოტა ხელი მტკივა, მაგრამ წარმატებისთვის მაინც ყველაფერს ვიღონებ. ისე კი ტურნირზე სერგეი გუსევი და რავილ ადეევი რომ ჩამოსულიყვნენ, ბრძოლა ალბათ უფრო მძაფრი და საინტერესო იქნებოდა, — თქვა ლადომ.

ბჯენითი ხტომა — 9,8.

ორძელი — 9,6.

ღერძი — 9,3.

მრავალჭიდის ჯამში 57,6 ქულა და... ვლადიმერ გოგოლაძემ („ლოკომოტივი“) პირველი მილოცვა მიიღო.

— დასრულებული „ხაზები“, დახვეწილი კომბინაცია, მტკიცე სპორტული ხასიათი, შესაშური ფიზიკური მომზადება, — მეტი რა არის საჭირო თანამედროვე ტანმოვარჯიშისთვის? დარწმუნებული ვარ, ამ ჩვიდმეტი წლის ათლეტს კარგი მომავალი აქვს, — ასე დაგვიხასიათა გოგოლაძე ახლო წარსულში ქვეყნის ერთ-ერთმა საუკეთესო ტანმოვარჯიშემ, ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვალერი კერდემელიდიმ, — რომელიც სჯიდა ლადოს გამოსვლას თავისუფალ ვარჯიშში.

არანაკლები ქება დაიმსახურა 17 წლის ამირან ბერიანიძემაც („შრომითი რეზერვები“).

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)



სურათზე: ამირან ბერიანიძე „ათვინიერებს“ ტაიჭს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ „ᲣᲔᲛᲑᲚᲘᲖᲔ“

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ „უემბლის“ სტადიონზე გამართულ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში სსრ კავშირისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებს შორის გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა —2:0.

54-ე წუთზე მასპინძელთა მცველის დაკსბერნის შეცდომა მშვენივრად გამოიყენა გოცმანოვმა —პირისპირ დარჩა მეკარესთან და ზუსტად დაარტყა— 1:0. მანამდე, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ინგლისელებმა, თუმცა კი ბევრს ცდილობდნენ, ვერაფერი მოუხერხეს სტუმართა დაცვას. განსაკუთრებით საიმედოდ თამაშობდნენ ჩივაძე, სულაქველიძე და ბალტაჩა. ნახევარმცველებიდან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ოჰანესიანმა. და მაინც, მასპინძლებს ყველაზე მეტი თავსატეხი გუნდის ვეტერანმა ბლოხინმა გაუჩინა. სწორედ მისი მორიგი შეტევის შემდეგ გავიდა მეორე გოლი ბრიტანელთა კარში. ბლოხინმა მოატყუა მცველები და ძლიერად დაარტყა, შილტონმა ვერ შეძლო ბურთის შეჩერება და პროტასოვს ისღა დარჩენოდა ცარიელ კარში მშვიდად გაეტანა გოლი.

რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის ნაკრების გამარჯვება საკმაოდ შთამბეჭდავია, მაგრამ ამ შედეგის მეტისმეტად გადაფასებაც შეცდომა იქნება —ეს მატჩი ხომ ორივე გუნდისთვის ფაქტიურად მოსამზადებელი, სავარჯიშო თამაშია მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წინ, რომელიც უკვე კარზეა მომდგარი.

სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაევი, სულაქველიძე, ჩივაძე, ბალტაჩა, დემიანენკო, ზიგმანტოვიჩი (პოზდნიაკოვი), ლიტოვჩენკო, ოჰანესიანი, ალეინიკოვი (გოცმანოვი), როდიონოვი (პროტასოვი), ბლოხინი.

* * *

10 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲓᲦᲔ!

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲔᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ, ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ, ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲖᲔ!

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, წლეულს გაიმართება საკავშირო უნივერსიადა, რომელსაც 18 ქალაქი უმასპინძლებს. ჩვენი რესპუბლიკის სტუდენტი ახალგაზრდობა კარგა ხანია ემზადება ამ კომპლექსური შეჯიბრებისთვის. მათი სპორტული ოსტატობის ამაღლებას, ნაკრები გუნდებისთვის ღირსეულ კანდიდატთა შერჩევას დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საზაფხულო თამაშები. რომელიც გუშინწინ საზეიმოდ გაიხსნა „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში. შეჯიბრების პროგრამაშია სპორტის 25 სახეობა. გუშინწინ პირველი შეხვედრები გამართეს ხელბურთელებმა, დღეს ასპარეზობაში მოკრივეები ჩაებმებიან. სტუდენტთა თამაშები 20 ივლისს დამთავრდება.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲗ

ᲔᲡ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ქვეყნების სპორტსმენები დიდი მონდომებით ემზადებოდნენ 1984 წლის საზაფხულო ოლიმპიადისათვის, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაშლილი ანტისოციალისტური კამპანიის გამო ლოს-ანჯელესის თამაშებში ვერ გამოვლენ. ისინი მონაწილეობას მიიღებენ დიდ საერთაშორისო ასპარეზობაში, რომელიც გაიმართება არა ოლიმპიური თამაშების პერიოდში, არამედ ძირითადად აგვისტოს მეორე ნახევარში. შეჯიბრებები ჩატარდება ცხრა სოციალისტურ სახელმწიფოში — ბულგარეთში, უნგრეთში, გდრ-ში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კუბაში, მონღოლეთში, პოლონეთში, საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიაში. პროგრამაშია არა მარტო ოლიმპიური სახეობები.

ეს გადაწყდა სოციალისტური ქვეყნების სპორტკომიტეტებისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მესვეურთა თათბირზე, რომელიც ახლახან მოეწყო პრაღაში. თათბირზე გამოიკვეთა შეჯიბრების ძირითადი პრინციპები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს ასპარეზობა, რომელიც, სხვათა შორის, ტრადიციულად ტარდება სოციალისტურ ქვეყნებში, XXIII ოლიმპიური თამაშების მიმართ ალტერნატიული არ არის. ასპარეზობის აგვისტოში გამართვა განპირობებულია იმით, რომ ამ დროისათვის ათლეტები საუკეთესო სპორტულ ფორმას აღწევენ. ამ ღია შეჯიბრებაში მონაწილეობა შეუძლიათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებსა და მსაჯებს. ასპარეზობაზე მოწვეული იქნებიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, საერთაშორისო სპორტული გაერთიანებებისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მესვეურები, უცხოელი ჟურნალისტები. შეჯიბრებები ჩატარდება მეგობრობისა და სტუმართმოყვარეობის ვითარებაში.

მოსკოვის ოლიმპიურ ბაზებზე დაგეგმილია შეჯიბრებები მძლეოსნობაში (ვაჟები), კალათბურთში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ცურვაში, ველოსპორტში (ტრეკი), ტყვიის სროლაში, სასტენდო სროლაში, ბალახის ჰოკეიში. ტალინში, სადაც აფროსნობის ოლიმპიური ცენტრია, ჩატარდება იახტსმენთა შეჯიბრება.

თავისუფალ ჭიდაობაში, ძალოსნობაში, მხატვრულ ტანვარჯიშში შეჯიბრებები მოეწყობა ბულგარეთში; კლასიკურ ჭიდაობასა და ფარიკაობაში— უნგრეთში; ხელბურთში, ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში — გდრ-ში; კრივში, წყალბურთსა და ფრენბურთში — კუბაში; თანამედროვე ხუთჭიდში — პოლონეთში; მძლეოსნობაში (ქალები) და სპორტულ ტანვარჯიშში — ჩეხოსლოვაკიაში. როგორც ცნობილია, ამ სახეობებში სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენები მსოფლიოში მოწინავენი არიან.

დიდი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარდება, ხოლო სამბოს ოსტატები მონღოლეთში შეხვდებიან ერთმანეთს.

ასპარეზობის საბოლოო რეგლამენტი და ვადები დადგინდება საერთაშორისო ფედერაციებთან შეთანხმებით.

დისკუსია

ბევრს ხომ არ ვთხოვთ სპორტულ ექიმს?

1983 წლის 6 ნოემბერს „ლელოში“ დაიბეჭდა პროფ ი. ვაინბაუმისა და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ნ. ავალიანის ვრცელი წერილი — „სპორტულ ექიმს მოეთხოვება“...

მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის სპორტული მედიცინისადმი ესოდენ დიდი ყურადღებისათვის, მაგრამ ავტორების მიმართ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა. ისინი წერენ: „ექიმის მეთვალყურეობის გარეშე ვარჯიშს ზოგჯერ ზიანი მოაქვს და ამიტომ, მართალია, პრობლემის გადაჭრის პრეტენზია არა გვაქვს, მაგრამ გვსურს ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვათ საექიმო ფიზკულტურის სამსახურის ფუნქციების გაფართოების შესახებ“. თუ ავტორებს სურთ თქვან, რომ ექიმის კონტროლის გარეშე სპორტული ვარჯიში არ შეიძლება, ამის შესახებ ჯერ კიდევ 1924 წ. ჯანმრთელობის დაცვის პირველმა სახალხო კომისარმა ნ. სემაშკომ უფრო ხატოვნად და ზუსტად თქვა — „საექიმო კონტროლის გარეშე არ არსებობს საბჭოთა ფიზკულტურა“. ასე რომ, სიტყვა „ამიტომ“ ავტორების მიერ უადგილოდაა მოხმობილი.

ი. ვაინბაუმსა და ნ. ავალიანს საექიმო ფიზკულტურის სამსახურის ფუნქციების გაფართოების პრობლემა აღელვებთ. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ამ ვრცელ წერილში, სამწუხაროდ, არ გამოთქმულა, თუნდაც ერთი მოსაზრება, რომელიც ამ სამსახურის ფუნქციების გაფართოებას წაადგებოდა.

წერილში ლაპარაკია ჩვენს ქვეყანაში საექიმო ფიზკულტურის სამსახურის მაღალ დონეზე; მის ძირითად სტრუქტურულ ერთეულად მიჩნეულია თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი საექიმო ფიზკულტურის დისპანსერები, ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა, დიდი სამეცნიერო კვლევითი მუშაობა. ამ აზრის დასამოწმებლად წერილის ავტორები უცხოელ სპეციალისტთა მაღალ შეფასებასაც კი იშველიებენ. ამის შემდეგ გაუგებარია წინადადება: „საექიმო ფიზკულტურის დისპანსერების მუშობა უკვე ველარ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის დაცვის დღევანდელ მოთხოვნებს“.

ავტორები ჩივიან „სპორტული ექიმების“ დაბალ კვალიფიკაციაზე და გვარწმუნებენ, რომ თანამედროვე დიაგნოსტიკის შესაძლებლობები იშვიათად გამოიყენება. ჩვენის აზრით, ისინი წინააღმდეგობაში ვარდებიან. თუ კი ჩვენს ქვეყანაში საექიმო ფიზკულტურის სამსახური ესოდენ მაღალ დონეზეა, როგორღა გავიგოთ მისი ძირითადი სტრუქტურული ერთეულის — საექიმო ფიზკულტურის დისპანსერების მუშაობისადმი წაყენებული ბრალდებები? ე. წ. „სპორტულ ექიმებს“ თუკი სათანადო კვალიფიკაცია არ გააჩნიათ, მაშინ რაში გამოიხატება ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების მწყობრი სისტემის ეფექტურობა? ან, თუ საექიმო ფიზკულტურის დისპანსერები აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით, რომელიც მოითხოვს უახლესი მეცნიერული კვლევის მეთოდებით მუშაობას, როგორ შეიძლება ეჭვის ქვეშ დავაყენოთ დისპანსერებში თანამედროვე დიაგნოსტიკის შესაძლებლობების გამოყენება? ამ აზრის მცდარობაში იოლად დავრწმუნდებით, თუ გავიხსენებთ, რომ 1980 წ. ოლიმპიური თამაშების დროს მოსკოვში, ლენინგრადში, მინსკში, კიევსა და ტალინში ჩვენი დისპანსერების მუშაობის საკმაოდ მაღალი დონე გამოვლინდა.

წერილში ლაპარაკია იმაზე, რომ „მთელ რიგ დისპანსერებში (საინტერესოა კი კონკრეტულად რომელში?!) მართალია ფართოდაა დამკვიდრებული პირველთანრიგოსან სპორტსმენთა საექიმო კონტროლი, მაგრამ მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის ყოველმხრივ შემოწმებას“.

ყველაფერი ეს საექიმო ფიზკულტურის დისპანსერების უპირველესი ამოცანა და მოვალეობაა... და რომ ისინი ამ მოვალეობას ასრულებენ, ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიშველიოთ თბილჯანდაცვის სამმართველოს საექიმო ფიზკულტურის № 1 დისპანსერის მაგალითი: 1983 წ. პროფგასინჯვების შედეგად დისპანსერის ექიმთა მიერ გამოვლინდა 6691 სხვადასხვა გადახრა, აქედან 225 მოდის 14 წლამდე ბავშვებზე. რაც შეეხება დისპანსერების მიერ მხოლოდ პირველთანრიგოსან სპორტსმენთა შემოწმებას, არც ეს შეეფერება სინამდვილეს. დისპანსერების სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ, თანახმად სათანადო დებულებებისა, საექიმო კონტროლი დაწესებულია ყველა თანრიგის სპორტსმენზე და ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების აღსაზრდელებზე.

წერილში აღნიშნულია, რომ დისპანსერებში დიდი ყურადღება ექცევა სპორტულ კარდიოლოგიას და შედარებით ნაკლები ენდოკრინოლოგიას, იმუნოლოგიას და ა. შ. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან კუნთური მუშაობა ძირითადად გულსისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობით არის ლიმიტირებული. სწორედ ამით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ მედიცინაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მთელი მოცულობის 70 პროცენტი სპორტული კარდიოლოგიის საკითხებზე მოდის. მისი კვლევის დონე და შედეგები დამაკმაყოფილებელია, ასე რომ, სპორტულმა კარდიოლოგიამ, როგორც კლინიკური მედიცინის ერთ-ერთმა დარგმა, მყარად მოიკიდა ფეხი.

სამწუხაროდ, იგივეს ვერ გავიმეორებთ სპორტულ ენდოკრინოლოგიაზე, სპორტულ ნევროლოგიაზე, იმუნოლოგიაზე და ა. შ. თუმცა ბოლო წლებში ჩვენი წამყვანი მეცნიერები მეტ ყურადღებას აქცევენ ამ საკითხების შესწავლას. ბევრი რამ დადგენილია კიდეც. საფიქრებელია, რომ ახლო მომავალში ეს სიახლენი დაინერგება. მაგრამ განა მათი დანერგვა, როგორც ეს ავტორებს მიაჩნიათ, საექიმო ფიზკულტურის სამსახურის ფუნქციების გაფართოებას გამოიწვევს?

სტატიაში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „სპორტული ექიმი“ უნდა ერკვეოდეს როგორც მედიცინაში, ისე პედაგოგიკაში. მოითხოვენ „სპორტული ექიმის“ უნივერსალიზაციას, მაგრამ ავტორები აქაც სცდებიან. ცნობილია, რომ კლინიკურ მედიცინაში მიმდინარეობს ცალკეული დარგების დიფერენცირების პროცესი, უფრო „ვიწრო“ სპეციალობებად დაყოფა. ამ მიმართულებამ სავსებით გაამართლა. საკითხავია, სპორტულ მედიცინაში რატომ უნდა ვიაროთ სხვა გზით? ვფიქრობთ, დებულების თანახმად, საექიმო კონტროლის სპეციალისტი ისედაც გადატვირთულია და მისი დავალებების გაზრდა სპორტული მედიცინის განვითარებას უთუოდ შეაფერხებს.

უმართებულოდ მიმაჩნია ავტორების კატეგორიული მოთხოვნა ლეტუნოვის სინჯის ბრძანებით გაუქმების შესახებ, რომ იგი „არ იძლევა საკმარის ინფორმაციას გულსისხლძარღვთა სისტემის ფუნქციაზე, ხოლო რეაქციის პათოლოგიური ტიპი (მართებულია ვიხმაროთ ატიპიური რეაქციები) მხოლოდ გულსისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის რეაქციის დარღვევის არსებობაზე მიგვანიშნებს“. განა ეს ინფორმაცია ასე ხელწამოსაკრავია? თუნდაც ის ფაქტი, რომ აღნიშნული სინჯი გვეხმარება გულსისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის რეგულაციის დარღვევის გამოვლინებაში, უკვე გვარწმუნებს მის საჭიროებაში. მით უფრო, ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია ერთი რომელიმე უნიფიცირებული ფუნქციური სინჯი სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენელთათვის, მათი ფიზიკური მომზადების დასადგენად. ის სინჯები კი, რომელთაც ავტორები გვთავაზობენ, დიდი ხანია დანერგილია საბჭოთა კავშირის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერებში ს. ლეტუნოვის, რ. სვანიშვილისა და სხვა სინჯებთან ერთად. ნუთუ მათთვის არ არის ცნობილი? გაოცებას იწვევს ი. ვაინბაუმისა და ნ. ავალიანის დიდაქტიკური ტონი სპორტსმენთა ფუნქციონალური მდგომარეობის შესაფასებლად საჭირო ტესტების შესრულების წესების დაცვასთან დაკავშირებით. თურმე ეს ტესტები „დილით, უზმოზე, ლაბორატორიაში წინასწარ დასვენების შემდეგ უნდა შესრულდეს, რაც იშვიათია პრაქტიკაში“. ამ ჭეშმარიტებას სპორტული მედიცინის ყველა სახელმძღვანელოში ამოიკითხავთ. მას ყველა დისპანსერი იცავს.

არანაკლებ გასაოცარია წერილის ავტორთა მოსაზრება სპორტსმენთა საექიმო კონტროლის მასობრივ-გამაჯანსაღებელი ფიზკულტურით მომეცადინე პირებზე საექიმო კონტროლისაგან გამიჯვნის შესახებ.

როგორც ჩანს, ავტორებისათვის არ არის ცნობილი, რომ 1983 წ. 21-23 სექტემბერს ქ. ტალინში ჩატარდა მასობრივი ფიზკულტურის სამედიცინო პრობლემებისადმი მიძღვნილი პირველი საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია. აქ ჩვენი რესპუბლიკიდან წარმოდგენილი იყო 2 მოხსენება. იმავე წელს გამოიცა მეთოდური რეკომენდაცია „სამედიცინო კონტროლი მასობრივი ფიზიკური კულტურის სამსახურში“.

ი. ვაინბაუმმა ალბათ არ იცის, მაგრამ ნ. ავალიანს არ ეპატიება იმის არცოდნა, რომ თბილჯანდაცვის სამმართველოს საექიმო ფიზკულტურის № 1 დისპანსერში 1980 წ. 2 სექტემბრიდან შეიქმნა საბჭოთა კავშირში ჯერჯერობით ერთადერთი, გამაჯანსაღებელ ფიზკულტურაში მომეცადინეთათვის განკუთვნილი საექიმო კონტროლის განყოფილება. ეს უკვე მიგვანიშნებს იმაზე, რომ ვცდილობთ საჭიროებისამებრ გავაფართოოთ საექიმო ფიზკულტურის სამსახურის თუ არა, საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის ფუნქციები მაინც.

წერილში აღნიშნულია, რომ სპორტსმენის ფუნქციური მდგომარეობის დასადგენად საკმარისია მისი გასინჯვა წელიწადში 2-ჯერ. ავტორებმა ალბათ იციან, რომ სპორტსმენის ერთწლიანი საწვრთნელი მაკროციკლი სამი ძირითადი პერიოდისაგან: მოსამზადებელი, ძირითადი და გარდამავალი პერიოდებისაგან შედგება. სპორტსმენის ფუნქციური მდგომარეობა ყველა ამ მონაკვეთში განსხვავებულია. სპორტსმენმა წელიწადში ორჯერ უნდა გაიაროს გაღრმავებული საექიმო შემოწმება, გარდა ამისა, ფუნქციური მდგომარეობის დადგენის მიზნით კიდევ სულ ცოტა 6-8-ჯერ დამატებით უნდა გასინჯოს ექიმმა.

ვფიქრობ, ი. ვაინბაუმი და ნ. ავალიანი რომ გაცნობოდნენ საექიმო ფიზკულტურის სამსახურის ძირითადი სტრუქტურული ერთეულის — საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის მუშაობაში სახელმძღვანელოდ მიღებულ ძირითად დოკუმენტებს, უხეშ შეცდომებს არ დაუშვებდნენ.

ახლა მთელს მსოფლიოში იზრდება სპორტულ მიღწევათა დონე, რთულდება სპორტული წვრთნის მეთოდები. ყოველი ახალი დღე ახალ კითხვებს სვამს სპორტსმენის, მწვრთნელის, სპორტული ექიმის წინაშე. მართალია, ზოგჯერ ჩვენ გვიჭირს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, მაგრამ ეს ის ნაკლი არ არის, რომელიც შეიძლება პრაქტიკულად მომუშავე ექიმებს გადავაბრალოთ, მათი „ოუგი“ კი პოპულარულ გაზეთებში ვწეროთ. ცნობილია, რომ სპორტსმენის გაწვრთნილობა განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით და განიხილება პედაგოგიური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია, რომ წვრთნის პროცესი რთული პროცესია. ყოველივე ამის გათვალისწინებით ბოლო ათი წლის განმავლობაში საკავშირო სპორტულ ნაკრებ გუნდებთან, აგრეთვე რესპუბლიკების სპორტულ ნაკრებ გუნდებთან იქმნება ე. წ. კომპლექსური სამედიცინო ჯგუფები, რომლებშიც შედიან სპორტის, მედიცინის, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, ჰიგიენის და ა. შ. მეცნიერ მუშაკები. ეს ადამიანები, მეცნიერულ თვალსაზრისზე დაყრდნობით, ხელს უწყობენ მწვრთნელს დროულად მოამზადოს სპორტსმენი ისე, რომ მან შეძლოს თავისი შესაძლებლობების სრული რეალიზება. ი. ვაინბაუმსაც და ნ. ავალიანსაც კარგად მოეხსენებათ ეს, მით უფრო საინტერესოა რატომ თხოვენ ყველაფრის ცოდნას და კეთებასაც მხოლოდ და მხოლოდ სპორტულ ექიმს?

ისიც სათქმელია, რომ „სპორტული ექიმი“ (ტერმინს, რომ თავი დავანებოთ) არ არის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერების საშტატო სტრუქტურაში. არის კონტროლის ექიმი მოსახლეობის სხვადასხვა კონტინგენტის ფიზაღზრდაზე.

სპორტული მედიცინისა და საექიმო კონტროლის გაიგივება უხეში შეცდომაა, ვინაიდან საექიმო კონტროლი, მართალია ძირითადი, მაგრამ მაინც სპორტული მედიცინის შემადგენელი ნაწილია.

სარეცენზიო წერილმა დაგვარწმუნა, რომ მისი ავტორები ვერ ანსხვავებენ კოტროლის ექიმის მოვალეობას სპორტული მედიცინის ამოცანებისაგან და გაგვახსენა რენე დეკარტის გამოთქმა: „განსაზღვრეთ სიტყვის მნიშვნელობა და თქვენ იხსნით კაცობრიობას მისი შეცდომების ნახევრისაგან“.

ოთარ ვირუბოვი,
თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს საექიმო ფიზკულტურის № 1 დისპანსერის მთავარი ექიმი, დოცენტი.

ფალავნები დმანისელებსაც ჰყოლიათ

ამ ორიოდე კვირის წინ თბილისში ჩატარდა 1971-72 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა პირველობა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ პრიზზე, რომელმაც არაერთი პერსპექტიული ნორჩი ფალავანი გამოავლინა. გუშინ ჩვენს დედაქალაქს კვლავ ეწვია ქართული ჭიდაობა, ამჯერად — საქართველოს პირველობის ზონალური შეჯიბრება, რომელშიც ქვემო ქართლისა და კახეთის რაიონების 12 გუნდი მონაწილეობს.

ნიშანდობლივია, რომ წლევანდელი საზაფხულო სეზონი სწორედ ქართული ჭიდაობით დაიწყო. გუშინ დილიდან ზურნის ჭიჭყინმა და დოლის ბაგაბუგმა გამოაცოცხლა დიდუბე — ქართული ჭიდაობის ტრფიალთა ეს უსაყვარლესი უბანი. შეჯიბრების მასპინძელია საქართველოს პროფსაბჭოს თბილისის მძლეოსნობის სასახლე.

საქართველოს პირველობა, რომელსაც „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭო ატარებს, ოთხ ზონად გაიმართება: ასეთივე შეჯიბრებები მოეწყობა ცხინვალში, ლანჩხუთსა და ქუთაისში. ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ზონალურ ასპარეზობებში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები, აგრეთვე ის ფალავნები, რომლებიც თავიანთ წონებში ზონის ჩემპიონები გახდებიან.

ახლა რაც შეეხება თბილისის ზონალურ შეჯიბრებას...

აქ თავი მოიყარა ლაგოდეხის, საგარეჯოს, ყვარლის, ბოგდანოვკის, დმანისის, ბოლნისის, მარნეულის, თელავის, ახმეტის, წითელწყაროს, სიღნაღისა და გურჯაანის რაიონების 78 ფალავანმა.

გაიმართა I და II წრის შეხვედრები. პირველი გამარჯვებები იზეიმეს თელაველებმა: ი. ელიზბარაშვილმა, ზ. სირაძემ, თ. ფირანიშვილმა, მ. მაისურაძემ, ო. მუთოშვილმა, ნ. კაციაშვილმა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა გივი ბაბილაშვილმა. აგრეთვე ლაგოდეხელმა, ახმეტელმა, ყვარლელმა და დმანისელმა ფალავნებმა.

განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ დმანისის, ბოლნისის, მარნეულისა და ბოგდანოვკის წარმომადგენლები ღირსეულ მეტოქეობას უწევენ საგარეჯოელ, გურჯაანელ და ახმეტელ ფალავნებს.

შესანიშნავი გუნდი ჩამოიყვანეს დმანისელებმა, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან გია, უშანგ და ოთარ გარაქლოვები, აგრეთვე ილია ადუაშვილი, რომლებმაც გუშინ პირველი მომგებიანი ქულები ჩაიწერეს.

როგორც ყოველთვის, ახლაც ძლიერი გუნდი ჰყავთ ახმეტელებს, ყურადღებას იქცევს 19 წლის გოლიათი თემურ ჩიხრაძე (140 კგ). მან პირველ შეხვედრაში სძლია გამოცდილ საგარეჯოელ ფალავანს ტარიელ გზირიშვილს. ამ უკანასკნელმა ტრავმის გამო შეხვედრის გაგრძელება ველარ შეძლო.

მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის აშკარა ფავორიტია თელაველი გივი ბაბილაშვილი. კარგად იასპარეზა ყვარლელმა ზავდან იბრაგიმოვმაც.

დღეს, 12 საათზე, გაიმართება ფინალური შეჯიბრება, რომელიც წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულ ფალავნებსა და გუნდებს დაასახელებს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ შეჯიბრება ტარდება საქართველოს პროფსაბჭოს თბილისის მძლეოსნობის სასახლეში (ა. წერეთლის პროსპექტი № 95 ა).

ნუგზარ ვახტანგაძე.



სსრ კავშირი — ირლანდია 2:1 (0:1).

მოსკოვი. „დინამოს" სტადიონი. 1 ივლისი. 87.000 მაყურებელი.

სსრ კავშირი: კუტეპოვი, კეტაშვილი, ჭედია, კოლოტოვკინი, მოხი, კუზნეცოვი (კუულევი, 41), ხუდოყილოვი, მედვიდი, ივანაუსკასი, ტატარჩუკი, ბუბლიაუსკასი (ზეიბერლინში, 56).

ირლანდია: კელი, ირვინი, კელჩი, პერხელი, ბოლარდი, მიურეი (ლინჩი, 65), ბეილი, კოლინზი, ნილი (მაკდერმოტი, 68), მუნი, რახელი.

მსაჯი ხ. -მ. პერესი (ესპანეთი).

გოლები: ნილი (26), ივანაუსკასი (49), ზეიბერლინში (64).

გააფრთხილეს: კოლოტოვკინი, მედვიდი და კელჩი.

მამაკაცური ძალისხმევით

სერგეი მოსიაგინი: ბიჭებმა საკუთარი ძალა ირწმუნეს

„პატარა, სამმილიონიანი ქვეყნის წარმომადგენლებისთვის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობაც დიდი წარმატებაა და ამიტომ დღევანდელი მარცხი სულაც არ მიგვაჩნია ტრაგედიად, — ირლანდიელ ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელმა ლაიემ თუჰიმ ამ სიტყვებით დაიწყო პრესკონფერენცია, რომელიც ნახევარფინალური მატჩის დამთავრებისთანავე მოეწყო „დინამოს" სტადიონის პრესცენტრში, — საბჭოთა ნაკრები მეტისმეტად ძლიერი მეტოქე აღმოჩნდა ჩვენთვის. დიდი ანგარიშით წაგებას მეკარემ გადაგვარჩინა".

ეს სიტყვები საკმაოდ ზუსტად ასახავს იმ სურათს, რომელიც საბჭოთა კავშირისა და ირლანდიის ჭაბუკთა გუნდების ნახევარფინალური შეხვედრისას შეიქმნა. ვისაც მატჩი არ უნახავს და გოლების ქრონოლოგიას გაეცნობა, ალბათ გაუკვირდება კიდეც ირლანდიელთა მწვრთნელის ასეთი მსჯელობა. მართლაც, ანგარიში ხომ სტუმრებმა გახსნეს, შესვენებაზეც ერთგოლიანი უპირატესობით წავიდნენ და შეხვედრის დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ამ უპირატესობას. ყოველივე ეს მატჩის წმინდა ტექნიკური, თუ შეიძლება ასე ითქვას, ციფრობრივი მხარეა, მაგრამ მაშინაც კი, როცა შეხვედრას სტუმრები იგებდნენ, სტადიონის ტრიბუნებზე მსხდომთ ეჭვი არ შეგვპარვია ახალგაზრდა საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებაში. ამიტომ ივანაუსკასისა და ზეიბერლინშის გოლები ყველამ ჩვეულებრივ, სავსებით ბუნებრივ ამბად მიიღო. იმის თქმა როდი მინდა, თითქოს ირლანდიის ნაკრები სუსტი გუნდი იყოს ან ღირსეული მეტოქეობა არ გაეწიოს მეტოქისთვის. პირიქით. მიმდინარე გათამაშებაში ჩატარებული მატჩებიდან საბჭოთა ნაკრებისთვის სწორედ გუშინწინდელი შეხვედრა იყო ყველაზე მძიმე, ყველაზე დაძაბული და, ამავე დროს, ყველაზე მნიშვნელოვანი — არა იმდენად შედეგის მხრივ, რამდენადაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. მატჩმა ყველას თვალნათლივ დაგვანახვა, რომ 17-18 წლის ჭაბუკებს გამოცდილი ფეხბურთელებივით შეუძლიათ ბრძოლა, რომ მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზა აუღელვებელი, გააზრებული მოქმედებაა. ჟურნალისტებთან საუბარში საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელმა სერგეი მოსიაგინმა აღნიშნა: ფინალური მატჩის წინ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ბიჭებმა საკუთარი ძალა ირწმუნესო. მათ ირწმუნეს ისიც, რომ ბავშვები აღარ არიან და თავადვე შეუძლიათ შეხვედრის ბედის გადაწყვეტა.

ვშიშობ, მკითხველმა მიკერძოება არ დამწამოს, მაგრამ განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო გელა კეტაშვილის შესანიშნავი თამაში. ეს ფეხბურთელი სულ მოკლე ხანში იქცა მოსკოველი გულშემატკივრების კერპად. მაყურებელი მისგან იმდენად მიეჩვია არასტანდარტულ, ლამაზ და ეფექტურ სვლებს, რომ საკმარისია ბურთი კეტაშვილმა მიიღოს, ტრიბუნებზე აღტაცების შეძახილები გაისმის. გუშინწინდელი მატჩის უდიდესი ნაწილი კეტაშვილმა მეტოქის ნახევარზე გაატარა. ირლანდიელთა ნაკრების № 11 მოთამაშე რასელი, რომლისთვისაც კეტაშვილს მეურვეობა უნდა გაეწია, თავად იქცა კეტაშვილის მეურვედ. თბილისის დინამოელი საბჭოთა ნაკრების თითქმის ყველა შეტევის სულისჩამდგმელი იყო — მისი ხელი ორივე გატანილ გოლში ურევია.

სერგეი მოსიაგინმა, რომელიც ჟურნალისტებთან საუბარში იშვიათად თუ გამოყოფს მატჩის რომელიმე მონაწილეს, ამჯერად უღალატა ჩვეულებას და საუკეთესო მოთამაშეები დაასახელა: კეტაშვილი, ტატარჩუკი, ჭედია და ივანაუსკასი. ირლანდიელთა გუნდიდან მან გამოყო მეკარე გერი კელი, წარსულში ცნობილი მეკარის ვაჟი.

დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ორი მატჩი გაიმართება. ჯერ ირლანდიელთა ნაკრები მესამე ადგილისთვის შეხვდება პოლონელ ჭაბუკებს, რომლებმაც ნახევარფინალში უნგრელებთან წააგეს (0:2), მერე კი მინდორზე გამოვლენ ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატის მთავარი მატჩის მონაწილენი: საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები.

დავით კაკაბაძე,
(„ლელოს" სპეც. კორ.).
მოსკოვი.

ინტერვიუ

მილუნკა ლაზარევიჩი: „ჩემთვის ჭადრაკი ბრძოლის ხელოვნებაა"

უცნაური კია: უცხოელ მოჭადრაკე ქალთაგან საქართველოში ყველაზე პოპულარული მილუნკა ლაზარევიჩი თბილისში პირველად ჩამოვიდა...

...1961 წელს იუგოსლავიის საკურორტო ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში ჩატარდა პრეტენდენტთა ტურნირი, რომელშიც ნონა გაფრინდაშვილიც მონაწილეობდა. აქვე ვიტყვით, რომ ნონა პირველ ადგილზე გავიდა და მაშინდელ მსოფლიო ჩემპიონ ელისაბედ ბიკოვასთან მატჩში შეხვედრის უფლება მოიპოვა. მაგრამ იქ ყველაზე საინტერესო გამოდგა ერთი პარტია, რომელმაც გადაწყვიტა ტურნირის ბედი. ამ პარტიამ შემოიარა მსოფლიო პრესა, მის დაბოლოებას აანალიზებდა ბევრი დიდოსტატი და, რაც მთავარია, იგი თვით ნონასათვის იქცა და დღემდე რჩება „ცხოვრების პარტიად" (ასე უწოდა მას მსოფლიოს ექსჩემპიონმა თავის წიგნში „არსი ჩემი ცხოვრებისა"). ეს პარტია გაფრინდაშვილმა მილუნკა ლაზარევიჩთან ითამაშა. ახლა არ შევუდგებით მის დაწვრილებით გარჩევა-გაანალიზებას. ვიტყვით მხოლოდ, რომ დიდოსტატმა ვაჟებმა, რომლებიც იშვიათად იჩენენ ჯენტლმენურ დამოკიდებულებას ქალთა ჭადრაკის მიმართ, ერთხმად აღიარეს: „ეს დიდოსტატური თამაშია."

ცოტა უცნაური, მაგრამ მაინც ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ნონას „დიდოსტატური თამაშის" შემდეგ მილუნკა ლაზარევიჩი უცხოელ მოჭადრაკეთაგან ყველაზე პოპულარული გახდა საქართველოში.

თბილისის საერთაშორისო ტურნირის საზეიმო დახურვისას მან თქვა: „ტურნირი შესანიშნავად იყო ორგანიზებული. კარგი დარბაზი, მშვენიერი მომსახურება, მცოდნე და კომპეტენტური გულშემატკივარი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც საჭიროა მაღალი კლასის ჭადრაკის სათამაშოდ... თუმცა, მე ფიზიკურ დატვირთვას ვერ გავუძელი, გადავიღალე და საბოლოოდ არასასურველი შედეგი ვაჩვენე".

● როდის დაიწყეთ ჭადრაკის თამაში?

—ხუთი წლის ვიყავი, მშობლებმა „ყოველდღიური ჭადრაკის" ელემენტები რომ მასწავლეს. შემდეგ მე თვითონ ჩავუღრმავდი თამაშს. ჩემი პირველი მასწავლებელი სერგო მარიჩი იყო. მწვრთნელი კი არასოდეს მყოლია. ნაკრებშიც, უბრალოდ, იმ დროს თავისუფალი სეკუნდანტი. მეხმარება გადადებული პარტიის გარჩევაში.

● მომზადების როგორი სისტემა გაქვთ?

— არავითარი სისტემა, ყოველგვარი „გეგმიანობა" გამორიცხული მაქვს. ვსწავლობ და ვთამაშობ მაშინ, როდესაც ამისი სურვილი მაქვს. ალბათ ამიტომ, სუსტ მეტოქეებთან თამაში მიჭირს. ჭადრაკი ჩემთვის ხელოვნებაა, ბრძოლის ხელოვნება, საკუთარი „მეს" ძიების გზა.

● რა განათლება გაქვთ მიღებული?

— დავამთავრე ბელგრადის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ სპეციალობათა ფაკულტეტი ხელოვნების ისტორიის განხრით, თუმცა, სპეციალობით არასოდეს მიმუშავია. საერთოდ, ვერ ვეგუები მუდმივ სამუშაოს.

● ალბათ ესეც თქვენი ხასიათის გამოხატულებაა...

— ალბათ.

● თქვენ იუგოსლავიაში საკმაოდ ცნობილი ჟურნალისტი ბრძანდებით. როდის გაგიტაცათ ჟურნალისტიკამ?

— პირველი ინფორმაცია 1960 წელს დავწერე ტალისა და ბოტვინიკის მატჩის შესახებ. რა თქმა უნდა, ძალიან გამიძნელდა, რადგან თეორიული ცოდნა არ მქონდა...

● თავიდან რომელ გაზეთში თანამშრომლობდით?

—„სპორტული ცხოვრების ქრონიკები" ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გაზეთია იუგოსლავიაში. მთელი რედაქცია ჩემი მუდმივი თანამდგომი და მრჩეველი იყო. განსაკუთრებით — გამოცემის რედაქტორი ლობეჩი. ასე რომ, ჟურნალისტიკაში „მწვრთნელიც" მყავდა, ჭადრაკისგან განსხვავებით...

● თქვენ მხოლოდ სპორტული თემატიკით არ იფარგლებით...

— რა თქმა უნდა. ვცდილობ ვწერო ყველაფერზე, რაზეც ხელი მიმიწვდება... ჩემი აზრით, ჟურნალისტის პროფესიაში მთავარი მაინც ადამიანებთან ურთიერთობა, მათი ხასიათისა და პიროვნული „მეს" გახსნაა. არასოდეს დამავიწყდება შეხვედრები შოსტაკოვიჩთან, პლისეცკაიასთან, გერასიმოვთან, მაგრამ ყველაზე საინტერესო მოსაუბრე მაინც მიხეილ ტალი აღმოჩნდა. თამამად შემიძლია ვთქვა: იგი უნიკალური პიროვნებაა.

● როგორ გესახებათ იდეალური ადამიანი?

— იდეალური ადამიანი... იგი ალბათ ალიოხინს უნდა ჰგავდეს... ალიოხინი ჩემი კერპია ჭადრაკშიც და ცხოვრებაშიც — ურთულესი, მრავალმხრივი ადამიანი სპეტაკი სულითა და ნათელი, ბავშვური თვალებით.

ინტერვიუ აიღო
ნინო კვიტაშვილმა.

ევროპის ჩემპიონატი

2. ბელგია

ბელგიის ფეხბურთელთა ნაკრები ბოლო წლებში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს: 1980 წელს გუნდმა ევროპის პირველობაში მეორე ადგილი დაიკავა, 1982 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ითამაშა და შარშან ევროპის პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მაგრამ ბელგიის ნაკრები ახლა ყველა ფინალისტზე უარეს პირობებშია. ამ ქვეყანაში მომხდარი საფეხბურთო სკანდალის შემდეგ მწვრთნელმა გი თისმა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაკარგა (ისინი სხვადასხვა ვადით არიან დისკვალიფიცირებული). განსაკუთრებით საგრძნობი იქნება ნაკრების ყოფილი კაპიტნის, მარჯვენა მცველის გერეტსის არყოფნა, თუმცა მეკარე პრიუდომი, მცველი მეეუსი, ნახევარმცველები პლესერსი, ვან დერ სმისენი და თავდამსხმელი დაერდენიც არ არიან ნაკლები ოსტატები.

რამდენიმე სიტყვა ბელგიის ნაკრების ხელმძღვანელზე. გი თისი 61 წლისაა, ნაკრებს 1976 წლის 22 მაისიდან ხელმძღვანელობს. წლეულს მან თავი მოუყარა 22 ფეხბურთელს და რამდენიმე საკონტროლო მატჩი გამართა.

რა შეიძლება ითქვას ნაკრების წამყვან მოთამაშეთა შესახებ?

ძირითადი მეკარე პფაფი, რომელიც ახლა მიუნხენის „ბაიერნში" გამოდის, 30 წლისაა, ნაკრებში 40-ჯერ ითამაშა, 1978 წელს ბელგიის № 1 ფეხბურთელიც იყო. პარიზის ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა" 1983 წლის სეზონის შედეგების მიხედვით იგი საბჭოთა ფეხბურთელთან რინატ დასაევთან ერთად ევროპაში საუკეთესო მეკარედ აღიარა. საიმედოა მეორე მეკარე მუნარონიც (ბრიუსელის „ანდერლეხტი"), რომელიც ნაკრებში 1982 წლის შემდეგ ზოგჯერ ცვლის ხოლმე პფაფს.

ბოლო საკონტროლო მატჩებში ბელგიელთა გუნდის დაცვაში თამაშობდნენ: დე გრეეფი, კლიისტერსი, ლამბრეჰტსი, დე ვოლფი. დე გრეეფს („ანდერლეხტი"), რომელიც გი თისმა გერეტსის მაგივრად მიიწვია, წლეულს ვარშავაში ჰქონდა დებიუტი პოლონეთის ნაკრებთან შეხვედრაში (1:0 ბელგიელთა სასარგებლოდ). არც სხვა მცველები არიან მაინცდამაინც გამოცდილნი: დე ვოლფმა („გენტი") ნაკრებში სულ 7 მატჩი ჩაატარა, კლიისტერსმა („ვატერსხეი") —3, ლამბრეჰტსმა („ბევერენი") —2, მაგრამ მწვრთნელის განკარგულებაში არიან უფრო გამოცდილი მილეკამპსი („ვარეგემი", — 35 მატჩი ნაკრებში) და რენკინი (ჟენევის „სერვეტი", 37). ასე რომ, დაცვის ხაზი საკმაოდ საიმედოდ ითვლება.

ნახევარდაცვაში გამოდიან ცნობილი ოსტატები კოეკი, ვერკაუტერენი, ვან დერ ელსტი, ვან დერ ეიკენი. კოეკი ახლა მილანის „ინტერში" თამაშობს, ნაკრებში 43 მატჩი აქვს ჩატარებული. ვერკაუტერენი „ანდერლეხტშიც" და ნაკრებშიც ნამდვილი მესაჭეა, ნაკრებში 33-ჯერ ითამაშა, თუმცა წლეულს ხშირი ტრავმები აწუხებდა. ვან დერ ელსტი („ლოკერენი"), რომელიც თავისი ქვეყნის გარდა საზღვარგარეთის ორ კლუბშიც (ნიუ-იორკის „კოსმოსი", ლონდონის „ვესტ ჰემი") თამაშობდა, ნაკრებში 1977 წლიდან გამოდის (45 მატჩი). ვან დერ ეიკენი („ანდერლეხტი", 35 მატჩი) ნაკრების ვეტერანია და აქ უკვე ათი წელია გამოდის. მწვრთნელი დროდადრო იწვევს ხოლმე ნახევარმცველებს თეუნისს („ბევერენი", 2 მატჩი) და მომენსს („ლოკერენი", 13 მატჩი).

ბელგიელებს ფინალისტთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო თავდასხმის ხაზი ეყოლებათ. აქ პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ ბელგიური ფეხბურთის ვარსკვლავი 25 წლის ვანდენბერგი („ანდერლეხტი"). იგი 1979 წელს მიიწვიეს ნაკრებში, რის შემდეგაც ამ გუნდში თითქმის უცვლელად გამოდის (30 მატჩი), საუკეთესო სნაიპერია და 1980 წელს ევროპის „ოქროს ბუციც" მოიპოვა.

გი თისმა წლეულს ყურადღება მიაქცია პირველი ლიგის დებიუტანტს, „სერენის" თავდამსხმელს კლაესენს. მან სულ მოკლე დროში საერთო ენა გამონახა ვანდენბერგთან და მასთან ერთად მეტად ძლიერი წყვილი შექმნა. კლაესენი 21 წლისაა და, ეტყობა, ევროპის პირველობაზე მეტოქეებს დიდ სიურპრიზს შესთავაზებს.

1981 წლიდან მოყოლებული ნაკრებში მტკიცედ ინარჩუნებს პოზიციას გარემარბი (ან ნახევარმცველი) ჩერნიატინსკი. იგი „ანდერლეხტში" თამაშობს, ნაკრებში 14 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა. ნაკრებში 1977 წლიდან გამოდის ცნობილი თავდამსხმელი კულემანსი („ფკ ბრიუგე") — 42 მატჩი. ამ ხაზზე კიდევ ერთი კარგი ოსტატია — ვოორდეკერსი („ვატერსჰეი", 14 მატჩი).

ერთი სიტყვით, მიმომხილველთა აზრით, გი თისი, რომელსაც საკმაოდ ჰყავს სათანადო შემსრულებლები, მაინც დაძლევს იძულებითი რეკონსტრუქციის მძიმე პროცესს და ევროპის ჩემპიონატში კარგ შედეგს მიაღწევს.

გივი გამრეკელი.

ინფორმაცია

მოსკოვი. ადგილობრივი „სპარტაკის" ფეხბურთელებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს გფრ-ის „პადერბორნთან" და გაიმარჯვეს ანგარიშით 8:1. აღსანიშნავია, რომ სპარტაკელთა რიგებში ითამაშა ფ. ჩერენკოვმა, რომელიც ავადმყოფობის მერე დაუბრუნდა მწყობრს.

ბარნაული. აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ადგილობრივ „დინამოსა" და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს შორის. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს ბარნაულელებმა. კორეელი ფეხბურთელები კიდევ რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავენ რუსეთის ფედერაციის ქალაქებში.

შვიდნი საპატიო კვარცხლბეკზე

დავით კვაჭაძე, ამირან ხიზანიშვილი, მურმან თაქთაქიშვილი... მას შემდეგ, რაც ეს სამეული დიდი რინგიდან წავიდა, ჩვენი მოკრივეების საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე საგულისხმო გამარჯვება არ მოუპოვებიათ. მოზრდილთა შეჯიბრებებს ვგულისხმობთ, თორემ ახალგაზრდული ტურნირებიდან ბოლო ხანს საკმაოდ ხშირად მოგვდის ცნობები საქართველოს მოკრივეთა წარმატების შესახებ.

ახლახან სარანსკში გაიმართა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჭაბუკ მოკრივეთა პირადგუნდური პირველობა. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ „ბურევესტნიკის" ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპორტული სკოლის (დირექტორი ზ. გუნია) სპორტსმენები, რომლებმაც შვიდი მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ რამინ ყურბანოვი (48 კგ) და ლევან მარკარიანი (74), მეორე ადგილზე გავიდა კამო ლოსიძე (50), მესამეზე — ვასილ კვანტალიანი (70), ბესიკ გურჯია (66), ივანე ბახტაძე (60) და ედუარდ ტეიბოვი (79). ეს სპორტსმენები საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრები არიან და საკავშირო სპარტაკიადისთვის ემზადებიან.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა მოკრივეებმა მესამე ადგილი დაიკავეს. ყურბანოვი, მარკარიანი და ლოსიძე „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ნაკრებში მიიწვიეს. ისინი აგვისტოში ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში იასპარეზებენ.

საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის ახალგაზრდული გუნდების მატჩი სპორტულ ტანვარჯიშში

პირველიც, მეორეც, მესამეც...

დასასრული



უნდა ითქვას, რომ მან ერთობ სუსტად დაიწყო ასპარეზობა — თავისუფალ ვარჯიშში მხოლოდ 9,25 მიიღო და კარგა ხანს საპრიზო სამეულში არ ჩანდა. მაგრამ ბჯენითი ხტომის (9,6) შემდეგ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ნოდარ ბახუტაშვილის მოწაფემ მესამე ადგილზე გადაინაცვლა, მერე კი, როცა ორძელზე 9,35 ქულა დაიმსახურა, კიდევ ერთი საფეხურით წინ წაიწია. ბოლო იარაღის წინ ამირანს 47,2 ქულა ჰქონდა (გოგოლაძეს — 48,3). იგი 0,1 ქულით უსწრებდა იური კირიჩენკოს, ხოლო 0,15 ქულით — ლიუკინსა და რიბინს. პირველი დღის დასკვნით გამოსვლაში ღერძზე ბერიანიძემ 9,6 ქულა მიიღო და, როგორც შეჯიბრების მეორე პრიზიორმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა.

— ეკა ძლიერი, მოქნილი, ნიჭიერი ტანმოვარჯიშეა. პროგრამაც რთული შეურჩევია. ეს კია: როცა დვირზე ვარჯიშს იწყებს, ნერვებს განსაკუთრებული კონტროლი უნდა გაუწიო. დვირი ხომ ყველაზე „ვერაგია“ ტანვარჯიშულ იარაღებში...

ეს სიტყვები ეკა ზეთურიძის მისამართით თქვა სახელმოხვეჭილმა საბჭოთა ტანმოვარჯიშემ, ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნელი კიმმა, რომელიც არბიტრად იყო მოწვეული თბილისის ტურნირზე. მართლაც, დვირიდან რომ არ ჩამოვარდნილიყო, ეკა ალბათ მეტ წარმატებას მიაღწევდა, თუმცა ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში, 15 წლის დინამოელი ოსტატისათვის, ჩვენი აზრით, არც მესამე-მეოთხე ადგილია ურიგო შედეგი. ზეთურიძეს და მის მწვრთნელს რაისა პენკოვას დიდი მუშაობა მართებთ, რათა ამ ნიჭიერმა სპორტსმენმა ტოლი არ დაუდოს გოგონათა საკავშირო ნაკრების ლიდერებს.

გუშინ სპორტის სასახლის სარბიელი კვლავ ორი ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა განკარგულებაში იყო. გაიმართა შეჯიბრება მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში. თითოეული გუნდიდან 4-4 სპორტსმენი გამოდიოდა.

ჩინებულად გამოვიდა ბჯენით ხტომაში ეკა ზეთურიძე, რომელმაც 19,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მოსკოველი ელენა გუროვა ამ სახეობაში მას 0,2 ქულით ჩამორჩა. სამაგიეროდ გუროვამ არავის დაუთმო პირველობა ორძელზე (19,75), დვირსა (19,25) და თავისუფალ ვარჯიშში (19,65). ამ უკანასკნელში ზეთურიძემ მესამე შედეგი აჩვენა.

ჭაბუკებში ორ-ორი „ოქრო“ მოიპოვეს ლადო გოგოლაძემ (რგოლებზე — 19,3 და ხტომაში — 19,075) და ვლადიმერ ლიუკინმა (ტაიჭზე — 19,25 და ღერძზე — 19,35). გერმანელი ანდრეას ვეკერი უძლიერესი იყო თავისუფალ ვარჯიშში (19,05), ხოლო იური კირიჩენკო — ორძელზე (19,05).

გარდა ამისა, გოგოლაძემ მეორე შედეგი აჩვენა თავისუფალ ვარჯიშში, ტაიჭზე და ორძელზე, ხოლო ბერიანიძემ — მესამე— ხტომაში, რგოლებსა და ღერძზე.

ამრიგად, საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის ახალგაზრდა სპორტულ ტანმოვარჯიშეთა ორდღიანი ბრძოლა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით: გოგონებში— 193,1:188,9, ჭაბუკებში — 284,4:275,5.

ოთარ ნოზაძე.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: სწრაფი გამორბენი და ტანმოვარჯიშე გოგონა ლამაზად გადაევლო იარაღს; ვარჯიშობს იორგ ბერენდი (გდრ).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

კალეიდოსკოპი

მოიგო მხოლოდ ტიმანმა

ბუგოინოში (იუგოსლავია) დიდოსტატთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის VII ტურში გაიმარჯვა მხოლოდ ტიმანმა, რომელმაც კოვაჩევიჩი დაამარცხა. ყაიმზე შეთანხმდნენ: გლიგორიჩი — ტორე, რიბლი — ლარსენი, ივანოვიჩი — სპასკი, ლიუბოევიჩი — ტალი და სმისლოვი — ანდერსონი. გადაიდო მაილს — ბელიავსკის პარტია.

7 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს ი. ტიმანი (ჰოლანდია) — 5 ქულა. ბ. სპასკის, ლ. ლიუბოევიჩსა (იუგოსლავია) და ზ. რიბლის (უნგრეთი) — 4-4 ქულა აქვთ.

ჩემპიონატი წვიმაში

სტავროპოლში ჩატარდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ცხენოსნობაში. მთელი ასპარეზობის მანძილზე წვიმდა, მაგრამ უფროსი ასაკის ცხენებით მოასპარეზე სამჭიდელებს ამან ხელი ვერ შეუშალა ნამდვილი ოსტატობის გამოვლენაში. მოსკოველმა ვლადიმერ ტიშკინმა „ფლერით“ მხოლოდ 113,65 საჯარიმო ქულა მიიღო და ოქროს მედალი დაიმსახურა. II ადგილი დაიკავა ბელორუსიის წარმომადგენელმა ვალერი დავიდოვიჩმა — 119,85. მესამე იყო მოსკოველი ბორის გორჩაკოვი —123,2.

ორჭიდში ახალგაზრდა ცხენებით წარმატება ხვდა როსტოველ იური სალნიკოვს (ცხენი „ტაიფუნი“) — 49,75 საჯარიმო ქულა. აქ ვერცხლის მედალი დაიმსახურა ტიშკინმა, რომელმაც ამჯერად „ტაიფუნით“ გამოდიოდა — 50,25. III ადგილზე გავიდა დავიდოვიჩი — 54,75.

საველე გამოცდაში ჩემპიონობა მოიპოვა უკრაინელმა ვიქტორ ბიკოვმა („ანამალია“) — 43,6. II ადგილზე გავიდა უზბეკეთის წარმომადგენელი ვალერი დვორიანიკოვი — 53,6. ბრინჯაოს მედალი ხვდა მიხეილ რიბაკს (ბელორუსია) — 57,6.

გუნდურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს „უროჟაის“ ცხენოსნებმა.

გოლიათთა შერკინება

გოლიათთა შერკინებას ჰგავდა მეორე მძიმე წონაში (110 კგ-ს ზევით) ორი საბჭოთა შტანგისტის შეხვედრა რეიმსში (საფრანგეთი) გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში.

იმდღევანდელი ასპარეზობის გმირი იყო მსოფლიო ჩემპიონი ალექსანდრე გუნიაშევი. ტაგანროგელმა ათლეტმა ატაცში 208,5 კგ დაძლია და 0,5 კილოგრამით გააუმჯობესა მარტის თვეში მის მიერვე მინსკში დამყარებული მსოფლიო რეკორდი. მერე, როცა გროდნოელმა ალექსანდრე კურლოვიჩმა ამ ვარჯიშში 2 კილოგრამით უკეთესი შედეგი აჩვენა, გუნიაშევი ისევ გამოვიდა ფიცარნაგზე და მსოფლიო რეკორდი 211 კგ-მდე გაზარდა. ამავე დროს მან გააუმჯობესა თავისი მსოფლიო რეკორდი ორჭიდში, რომელიც ახლა უკვე 465 კგ-ს უდრის.

ერთი დღის ორი იღბლიანი სტარტი

საერთაშორისო ჩავზატკეცილო ველორბოლაში ინგლისის გზებზე 2 ივნისს ორი ეტაპი მოეწყო და ორივე საბჭოთა სპორტსმენმა, როვნოელმა ოლეგ ჩუჟდამ მოიგო.

ჩუჟდა პირველი იყო 5 კილომეტრზე დაყოფილი სტარტით რბოლაში (10.1) და 116-კილომეტრიან დისტანციაზე — 2:58.27. სპორტსმენი ლიდერობს პირად ჩათვლაში. მას 44 წამით ჩამორჩება შვეციის წარმომადგენელი სტეფან ბრიკტი. კიეველმა სერგეი ზმიევსკიმ, რომელიც ლიდერთან 1 წუთსა და 12 წამს აგებს, მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა.

გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ველომრბოლელებმა 48 წამით გაუსწრეს მეორე ადგილზე მყოფ დიდი ბრიტანეთის მოყვარულთა ნაკრებს.

უცხოეთის საფეხბურთო მინდვრებზე

ჰოლანდია

საფეხბურთო სეზონი ამ ქვეყანაში როტერდამის „ფეიენოორდის“ დიდი წარმატებით აღინიშნა: კლუბმა ათწლიანი შესვენების შემდეგ დაიბრუნა ჩემპიონობა და, პარალელურად თასიც მოიგო (შარშან ასეთი დუბლი გააკეთა ამსტერდამის „აიაქსმა“).

უცხოეთის პრესა განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ „ფეიენოორდის“ წლევანდელი და „აიაქსის“ შარშანდელი წარმატებები უშუალოდ დაკავშირებულია გამოჩენილი ფეხბურთელის იოჰან კრუიფის სახელთან. „ფრანს ფუტბოლი“ ხაზს უსვამს, რომ ი. კრუიფი გამარჯვების უშუალო ორგანიზატორი იყო „აიაქსშიც“ და „ფეიენოორდშიც“.

ი. კრუიფი ახლა 37 წლისაა. მან განაცხადა, რომ სულ უფრო უჭირს თამაში და გადამწყვეტი მატჩებისთვის მზადება, ამიტომ თავს ანებებს ფეხბურთს.

„ფეიენოორდმა“ 57 ქულა დააგროვა და 5 ქულით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე მყოფი „ეინდჰოვენი.“ 51 ქულა აქვს „აიაქსს“.

ბელგია

დამთავრდა ამ ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატი. პირველი ადგილი დაიკავა „ბევერენმა“. ახალი ჩემპიონის რიგებში თავი გამოიჩინეს ლამბრიჰტსმა, ბაკემ და ტიონიმ, ეროვნული ნაკრების მწვრთნელს გი თისს განზრახული აქვს გუნდში მიიწვიოს ისინი.

გათამაშების საბოლოო ცხრილში „ბევერენს“ 51 ქულა აქვს, „ანდერლეჰტს“ — 47 და „ბრიუგეს“ — 44.

პორტუგალია

ჩემპიონის წოდებისთვის მთელი სეზონის მანძილზე იბრძოდნენ ლისაბონის „ბენფიკა“ და ქ. პორტუს „პორტუ“. ამ ორმა კლუბმა საგრძნობლად გაუსწრო მესამე ადგილზე მყოფ „სპორტინგს“.

პირველი სამეულის საბოლოო შედეგები: „ბენფიკა“ — 52 ქულა, „პორტუ“ — 49, „სპორტინგი“ —42.

კალეიდოსკოპი

„სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 22-ე ტირაჟი.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 2 (ბიატლონი), 15 (ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 20 (აფროსნობა), 30 (ძალოსნობა), 40 (ბადმინტონი), 48 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 8 (ტრეკზე ველორბოლა), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 19 (სათხილამურო რბოლები), 22 (წყალში ხტომა), 35 (მაიბიანი ჰოკეი).

რედაქტორი ა. გოგველია.

8 ივნისს საქართველოს პროფსაბჭოს თბილისის მძლეოსნობის სასახლეში (ა. წერეთლის პროსპექტი № 95-ა) **გაიმართება „კოლმეურნის“ ზონალური პირველობა**

ქართულ ჭიდაობაში

მონაწილეობენ: ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, გურჯაანის, ბოგდანოვკის, წალკის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, თიანეთისა და თბილისის ნაკრები გუნდები.

შეჯიბრებები გაიმართება 12 და 17 საათზე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ჭავჭავაძის პრ. 74)

5 ივნისი

ფეხბურთი !

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა, IX ზონა

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია)

დასაწყისი 19 საათზე

ავტომანქანები სტადიონის ტერიტორიაზე დაიშვებიან მხოლოდ „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ სტადიონების ავტოსაშვებით.

სტადიონის ტერიტორიაზე გახსნილია საგაზაფხულო ბაზრობა. გაიყიდება თანამედროვე მოთხოვნილების ფართო ასორტიმენტის სამამულო წარმოებისა და იმპორტული საქონელი.

ბაზრობის დასაწყისი 16 საათზე.

ზენონ ვიქტორჩიკი

როგორ გავხდი სპორტული მიმომხილველი

ლიტერატურული მოღვაწეობა რეპორტიორობით დავიწყე. რედაქტორმა მიბრძანა დამეწერა რეპორტაჟი სასურსათო კომბინატიდან. და აი, დავწერე კიდეც. რედაქტორმა წაიკითხა ჩემი ნამუშევარი და თქვა, ეს რეპორტაჟი კი არა, სასამართლო ქრონიკააო და სასამართლო ქრონიკის განყოფილება ჩამაბარა.

— ამ სარბიელზე, — ბრძანა მან, — შეიძლება განვითარდეს ჟურნალისტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება: ფაქტებსა და ციფრებში ორიენტირების უნარი.

არ გასულა დიდი დრო და ჩემი პირველი სასამართლო ქრონიკა უკვე მზად იყო. რედაქტორმა წაიკითხა და მრავალმნიშვნელოვნად გაიქნია თავი.

— ეს სასამართლო ქრონიკა კი არა, ნამდვილი პოეზიაა, — აღნიშნა მან და დამავალა, დღეიდან მოწინავე სტატიები დამიწერე ხოლმეო.

ჩემი რედაქტორი — ჩემი კანონია! ჰოდა, მეც შევთხზე მოწინავე და მივუტანე. წაიკითხა. რატომღაც შეშფოთდა, მერე ფერმა გადაჰკრა და ბოლოს მითხრა:

— თქვენ გინდათ, რომ მთავარი რედაქტორის ადგილი დავკარგო? ეს რა დაგიწერიათ!

— მოწინავე, ბატონო რედაქტორო, — მივუგე.

— ეს ისეთივე მოწინავეა, როგორც მე — ბობი ჩარლტონი.

— ჩარლტონი? — ავიჩეჩე მხრები — ეგ რაღაა?

— როგორ, არ იცით, ვინ არის ბობი ჩარლტონი? — გაბრაზდა რედაქტორი. — იქნებ პელეც არ იცით, ანდა ლევ იაშინიც არ გაგიგონიათ?

— არა, მე ამ მოქალაქეებს არ ვიცნობ.

რედაქტორმა ნიშნის მოგებით გაიღიმა.

— ჩინებულია! ბოლოს და ბოლოს უკვე ვიცი, რედაქციაში შენი ადგილი სად არის.

და მან სპორტის განყოფილება ჩამაბარა.

მას შემდეგ აი, უკვე რამდენი წელია ამ ჟანრში ვიღწვი და არავის არ აღძვრია სურვილი სხვა სამუშაოზე გადამიყვანოს.

პოლონურიდან თარგმნა
შოთა ამირანაშვილმა.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსზე, სოშარაულის. 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
ИНДЕКС 66435
უე 07294